

# ნაკადული

საყვანაწილო ჟურნალი



მცირე ფლოკანთათვის

## ზინაარი:

- 1 მთიბაღი . . . . . 369
- 2 ვაგონში . . . . . 372
- 3 მიმუნები, როგორც აღმზრდელები. 383
- 4 ვახტანგ გორგასლანიდან ბაგრატ მესამემდე . . . . . 385
- 5 ჰერკულესის ამბავი . . . . . 389
- 6 სახალისო სამუშაო და გასართობი:  
ა) სიფონი, ბ) გამოცანები, გ) რე-  
ბუსი . . . . . 392
- 7 პატარა „ნაკადულის“ რედაქციას . 394
- 8 განცხადება. . . . . 395

№ XIV

მ ა ი ს ი




1905

თბილისი  
ელექტრონის სტამბა წიგ. გამოც. ქართ. ამხანაგობის  
1905



საქართველოს  
ხალხთა ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою 27-го мая 1905 г. Тифлисъ



  
 ეროვნული  
 ბიბლიოთეკა

## მ თ ი ბ ა ვ ი

**თ**ენდება და მსე ამოდის,  
 სსიუძა დაჭკრა სურმუსტ მდელოს.  
 და ტოროლა მიჭქრის ცაში,  
 რომ იქიდაძ დამძღეროს!

ძირს ზეჰელა ბაღასებზე  
 დათამაშობს, ევაუილსა სწოვს,  
 ცხვარი ქედსე შეფენილა  
 და ძროხა კი მინდორში სძოვს!

არა სძინავს მუშის მკლავსაც,  
 ხელთ უჭირავს ბასრი ცელი  
 და წინ უძევს გასათიბი  
 სასხლისო ტურფა ველი!

სამთრისათვის ბაღასს სთიბავს,  
 გამოკეპობს ძროხა, ხარი,



სთიბავს, სთიბავს თუძცკი საწუალს  
 დაელაღ კიდეც მსარი!

მაგრამ რა ქნას? კარგად იცის  
 არვინ მისცემს რამეს მუქთად,  
 ან რად უნდა ვინიმე რამ,  
 უძროძოდ და ძღვეს სასუქრად!



უკან მისდევს ზაწა შვილი,  
 მამა სთიბავს, ის აქუჩებს,  
 თან ბილილას სწუწის ცელქი,  
 იტკბანურებს ასე ტუჩებს!

სანკი ჩუმად, აქა-იქა,  
 კვალში ეძებს მწვერის ბუდეს,  
 თანაც ცდილობს თივის კვირტი  
 კარგად დადგას არ გამრუდდეს!

მუშა არის რა კკონიათ!  
 არ დარჩება უკან ტოლებს,

ვერ სედავთ, თავის ორთით  
როგორ აწეობს მოლზე მოლებს!

და ტოროლაც ამხს მღერის:  
„შერცხვეს ბიჭი მცონარაო,  
შერცხვეს ბიჭი, ძილის გუდა,  
ვინც ადრე არ ამდგარაო!“

შენკი უოხალ, ვაგომარჯოს!  
არა ჰგვესარ იმ წარმაცებს  
დილით დედა ქვეშაგებში  
ენსუბებათ, ვერ აღვიძებს!“

იბრძვის ცელი და ორთითი,  
იმათ უძღერთ ტოროლაცა,  
ძირს ნიავი არწებს ბაღასს,  
მათ დახარით მალელიდან ცა!

ი. ევლოშვილი.





## ვაგონში

**მ**ოსწეინდა ჰაწია მათიკოს. დედას თავი სტკივა და შალ წახურული წვეს ვაგონის ვიწრო ტახტზე. დედოფალსაც ჩაუძინა, ბავშვებიც აღარაფერ არის, სულ წაუვიდ-წამოვიდნენ. ხან იმდენი შემოვა ხალხი, რომ ვაგონი სრულიად გაიჭყდება, ახმაურდებიან, აუფანდებთ ვეელა, გასაქანი არსად არის; მაშინ მათიკო აღარ იძვრის, დედას ეკვრის; ხან კი, როგორც ესლა, თითქმის სრულიად დაიცლება და ჩახუძდება ვაგონი, მატარებელი რახრახებს, უსტვენს, ქმინავს. ფანჯარაში შედევს მათიკო, როგორ გარბიან ქვევითკენ სეები და მინდვრები. უწინ ეს აკვირვებდა მას და გაფაციცებით ადევნებდა თვალს მკვრამ ესლა ესეც მობეზრდა და ურადლებას აღარ აქცევს. მათიკოს ძალიან უნდა დაეღაპრაკოს აი, იმ დიდ-წვეურა, სათვალეებიან ჭაღარა ბიძიას, რომელიც იმათ პირდაპირ ფანჯარას მისჯდომია და წიგნს ჩაჭკვირვებია. „ნეტავი რა ზღაპარი უნდა იყოს? იქნება, ერთი მუჭა კაცი რომ იყო და ორი მუჭა წვერი რომ ჭქანდა, იმის ზღაპარია, ან კიდევ ვარდის ბუჩქის ფერიის ამბავი. ნეტავი ერთი დამეღაპრაკოს.“

ფიქრობს მათიკო: „მერე რა კარგი ჯოხი აქვს, რა ძაღლის თავი გაუკვებიათ ზვეით... ვკითხავ, ბიძია, რა არის ეს ნია მეთქი, მაგრამ რომ გაჯავრდეს?.. არა ისევ ჯოხის ძაღლს დაველანარაკები“ — გადასწვევით მათიკომ გულში და თამამად გასწია ჯოხისაკენ, მაგრამ როცა მოუხლოვდა, მორიდებით აიღო ჯოხი ხელში და ირიბათ, გაუბედავად განსება დიდწვერ ბიძიას. მკსავრმა ურადლება არ მიაქცია, თითქო ვერც კი დაინახა მათიკო; ის ისევე გულმოდგინედ განაგრძობდა კითხვას.

ძაღლი მართლაც მშვენიერი იყო. დიდრონი განიერი ურები გადმოჰკვებოდა, ზირი დაელო და ენა გარედ გამოკვდო, თითქოს აჩქარებით სუნთქავსო. სწვეალი, სირბილით დაღალულად ესლა წვეს და სწრაფად სუნთქავსო, იფიქრა მათიკომ.

— აი, ახლავე აკივებს, ჩემო მურიკო, — წასწურულა მან ძაღლს და მართლაც აიკვანა ჯოხი და განსება ფანჯარაში; — სება, მურიკო, როგორ გარბის ხეები, მაგრამ კი არ დაიჯერო, ნამდვილად ჩვენ გავრბივართ, მურიკო. ასე ამბობს დედა, დედამ კი ვეღბაფერი იცის... აი რა კარგი ხარ, რა ჩქარა მიხვდი, ჩვენ მაიას კი არ სჯერა... მაია, არ იცი, ვინ არის? ჩემი დედაფაღაა, ახლა სმინავს, თორემ გაგაცნობდი, გაღვიძება არ შეიძლება, არ გამბღვიძოლო მითხრა... გინდა გაკოცო? — მათიკომ აკოცა ძაღლს, გადაუსება ხელი და კიდევ განსება ფანჯარაში, — მეტი აღარ გინდა? მამ აბა აი, იქ წავიდეთ, ის ზატარა ბავშვი, რომ ტირის... რამდენი ხანია ტირის უთუოდ მუცელი სტკივა... დედამ მითხრა, მარტო არხად არ წასვიდეთ, მაგრამ ახლა სომ მარტო არა ვარ, შენ სომ ჩემთან იქნები, მურიკო. — მათიკოს სრულიად დაბვიწქდა დიდწვერ ბკსავრი და მსიარულად გასწია მორე განუოფილებამი განსასვლელად, საიდანაც ბავშვის ტირილი ისმოდა.

— შენ, კი, ზაწიავე, სად მიგაქვს ჯოხი, ა?



მათიკო შეკრთა; მოიხედა, სასქაროდ მოტრიალდა და წაიშალა.  
წოდა ჯოხი მკსავრს.

— ჩვენ, აი, იქ მივდიოდით ბავშვი, რომ ტირის...

— ტირის? ძერე შენ რა უნდა გაუკეთო, დედამისი და ჩემებს.

— დიდი ხანია ტირის და, იქნება დედამ ვერ დაახუშა... მათიკო მიხედა, რომ ბიძიანთან ლაპარაკი შეიძლებოდა, რომ გაჯავრება სრულიადაც არ ეტყობოდა სასესე, ზირ იქით თვალები, თითქოს უცნობდნენ კიდევაც და ჰკითხა:

რას კითხულობ, ბიძიავ, კარგი ამბავია შიგ? ვარდის ბუჩქის ფერიის ამბავი ხომ არ არის?.. ნახატებიც არის?.. აბა მეც მახვიყე...—მათიკო მივიდა დიდ წვერასთან, შეცოცდა სავარძელზე, სწრაფად გადააბიჯა ფეხები და დაუჯდა მუსლებზე.

დიდ წვერამ გაიცინა, მოხვია ხელი ბავშვს, გაისწორა და უფრო მოხერხებულად დაიხვია.

— ეოხად, ეოხად, ძალიან ქალი ეოფილხარ, მამ შენ ზღაპრები გიყვარს?—მკსავრმა ჩამოიძრო სათვალეები, გასწმინდა თეთრი ცხვირსანოცით და ისევ ჩამოიცვია ცხვირზე. მათიკო ამ დროს დინჯად იჯდა,

— აი, მაძილომაც ასე იცის: დამისვამს მუსლზე, გასწმინდს სათვალეს და მიკითხავს ზღაპრებს, ძალიან კარგ ზღაპრებს... მე მინდა, რომ შენც წამკითხო, —მათიკომ აიღო წიგნი, რომელიც განზე გადაედო მკსავრს და მიაწოდა.

— ჩემ წიგნში, რომ ზღაპრები არ სწვრია, მე ზღაპრებს როდი ვკითხულობ ეს სამეცნიერო წიგნია...

— როგორ, მამ შენს ზაწია გოგონას ვინ უკითხავს ზღაპრებს?—დაკითხა გაკვირვებით მათიკო.

— მე ზაწია გოგონა არა მუჯს.

— მამ, შენ შვილი არა გუჯს შინ?

— არა.





— არც შვილის დედა?

— არც შვილის დედა.

— მამ სადილს მარტო სჭამ?

— მარტო ვსჭამ.

— სულ მარტოდ, მარტო ზინარ სუფრასზე?

— სულ მარტოდ-მარტო.

— შერე?

— შერე და არაფერი. მოკუყდები ასე სუფრას მსარეული ქალი მომიტანს წვესს, მერმე შემწვარს და მეც ვსადილობ.

— ჩიტი რომ გაფრინდეს ამ დროს ფანჯარასთან არავინ არ დაიუვირებს: აი, მამილო, ჩიტი, ჩიტი გაფრინდაო და შენ არ ხარხარებ?

— არა არავინ არ დაიუვირებს.

— ნასადილეგს არავინ არ შეისვამ მსარზე და არ არბენი-ნებ ოთახში ცხენივით, როგორც მე ჩემი მამილო?

— არა,— მიუგო მგზავრმა სიცხლით.

— მამ შენ ასლად, რომ მისვალ შინ, არავინ არ გაქსარდებ, არავინ, არავინ არ მოკვარდებ, არ ჩამოგკეონწიალებს კისერზე და კოცნით არ გეკეკვის; ჩემო მშვენიერო მამილო, ჩემო კარგო მამილო, დედა საჩქაროდ არ მიატოვებს საკერავს და არ დადგება ამ დროს კარებში გაცინებული?!

— არა, არა, არავინ...

— სად წავიდნენ, როდის მოვლენ? — წარმოსთქვა მათიკომ უსომოდ გაკვირვებულმა და დაამტერა დიდ წვერას თავისი ცისფერი თვალები.

— არ ვიცი... მე მგონია სრულიადაც არ მოვლენ არასოდეს.— სთქვა მგზავრმა ოდნავ ნაღვლიანად და ჩამოისვა ხელი თავის ჭაღარა წვერზე.

ბავშვი ცოტა ხანს დაჩუბებული იყო და შემდეგ მწუნარედ წარმოსთქვა:



— საბრძლო ბიძია, საბრძლო! როგორ შეცოდები! სულ მოწვენილი იქნები!

— რატომ გკონია, რომ მოწვენილი ვიქნები, ხემა ჰატარავ? — დავეითხა ბიძია მათიკოს და ცნობის მოკვარეობით ჩასკდა თვალებში.

— იმიტომ რომ მაძილო უოველთვის ამბობს, როცა შენ და დედილო არ ხართ შინ, უოველთვის მოწვენილი ვარო. დედილოც მოწვენილია, როცა მაძილო არ არის შინ, სულ ფანჯარაში იუურება. აი, ასლა ჩვენ მაძილოსთან მივდივართ, მაძილომ, კი არ იცის მოულოდნელად მივდივართ რომ მაძილო გაგანართო. ისეთი მაძილო შევს შე, კარგი!.. ბიძიავ, ბიძია, შესედე, შესედე, აკერ ფერდობზე რამდენი ცხვარია, რამდენი!... უუუ, რამოდენა რქები აქვს. აი იმ დიდს!.. — შეჭვიროა უცებ მათიკომ წაავლო ხელები თავზე ბიძიას და მოსწია ფანჯრისაკენ, რომ გაესედეინა გარედ. მინდორში ამწვანებულ ფერდობზე გაძლილიყო ცხვრის ფარა და სმოვდა.

— სედავ, სედავ, რა კარგებია, რა ლამაზები... შეე, შეე... სიუვარულით აჯანვრებდა მათიკო ცხვრების ბღავილს და თანაც, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ეწეოდა და აბრუნებდა მკნაურის დიდ წვერს თავს, რომ იძსნაც ისევე კარგად დაენახა და გასარებულიყო, როგორც თვითონ.

— ვსედავ, ვსედავ, ძალიან მშვენიერია... მოიცა, მოიცა... სთვბლე... ქედი... ოო, მეტეინა, შე კედიანო, სა-სა-სა... — ხარხარებდა დიდწვერს და ცდილობდა გადაერჩინა სთვბლე და ქედი. ის სრულიად არ ჰგავდა ასლა ამ ათი წუთის წინ, აქვე მჯდომ კაცს შეხედულების კაცს, რომელიც ისე ბეჯითად ჩაჭვიროვებოდა წიგნს.

მატარებელმა სელას უკლო, დაუსტვინა და განერდა სად გურის წინ. საღსმა იწეო კლათობითა და ბონხებით გასვლა. განდენ ტვირთის მხიდებები. მოდიოდნენ ასალი მკნაურები:

ზოგი მხიარული და გაცინებული, ზოგი მოწუენილი და მწუხრიანი ვლიანი.

— მათიკო! — მოისმა სუსტი ხმა მათიკოს დედისა.

— აქა ვარ, დედილო, ბიძიასთან, ნუ კეძინიან. — გასძახა მათიკომ.

დედამ შესედა მკზავრს და დამხამავის კილოთი უთხრა:

— სომ არ გაწუხებთ, ბატონო, ჩემი ბავშვი? ნამეტანი ცელქი და ტიკტიკაა.

— არა ქაღობატონო, ჰირაქით ძალიანაც მასიამოვნა, ძალიან საუფარელი ბავშვიან, მოსვენებით, ბრძანდებოდეთ.

ხალხმა მიიკაღათ-მოიკაღათა, დაწუნარდა და მსოფლოდ ფანჯრებში თავკაუოფილნი ემუსაიფებოდნენ ბაქანსკედ მუოფ კამცილეუბლებს. მუორე განუოფილებამი ბავშვი ისევე განაგრძობდა ტირილს. ხანდა-ხან ერთი წუთით შეჩერდებოდა, მაგრამ უცებ ისევე ასტყვდა კულსაკლავ უვირილს.

მათიკო ცოტა ხანს რაღაცაზე ფიქრობდა. მერე ერთბაშად, თითქოს რაღაც მოაკანდაო, ჩამოსრიდა მუხლებიდან დაავლო ხელი ბიძიას ხელს და სერიოზულად უთხრა.

— ბიძია, წავიდეთ ბავშვთან.

მკზავრი ხმის ამოუღებელივ, ადგა და გაჰყვა.

ისინი შევიდნენ მუორე განუოფილებამი. გრძელ რბილ ტანტზე კუთხისაკენ იდგა საბნებში შესვეული ზაწაწკინა ბავშვი და ტიროდა, იქავე ჩამომჯდარიყო ვილაც ასაღო-გაზრდა ქალი და მოუსვენრად შესცქეროდა ხან ბავშვს და ხან სხვა მკზავრებს, მუორე მხარეს, იმათ ჰირდაჰირ, ტანტზე იწვა მსუქანი, მუცლიანი, გაწარსლებული და ახლად გამოღვიძებული კაცი, რომელსაც სასესე საშინელი გაბრახება ესატყობდა. მუორე ფანჯარასთანაც იჯდა ერთი კაცი და დამშვიდებულად გაიცქირებოდა ფანჯარაში.

შევიდნენ თუ არა ჩვენი მკზავრები ბავშვთან, დიდწუკრამ



რადაც უხერხულემა და სირცხვილი იგრძნო და ბოდბისძეს მოსწონდა ხდით მიმართა ქალს:

— უკაცრავად, მაგრამ ამ ზაწიამ არ დამაუგნა, ძალიან სწუსს თქვენი ბავშვისთვის.

— ჩემი არ გახლავს, მე ახლა შემოვედი ამ სადგურზე და ასე ატირებული დამისვდა... დედა არ სჩანს... — მიუგო ქალმა.

მატარებელი დაიძრა და რასრასით გაჰქანდა. ვეულამ ერთმანეთს გადახედეს.

— მამ სად არის ამის დედა? — წარმოთქვა დიდწვერამ შემერთაღმა.

— დეერთმა ნუ იცის იმისი თავი და ტანი, რომ აღარ შემოვიდა! — დანწყო გაჯავრებით გაჭარხლებულმა კაცმა: — მოივუნა აქ ეს კოჭი ვიღაც არამხადა დედაკაცმა, ჯერ აჭამა, ეფფრა, ჰეოცნა, იტირა... ვკითხე რა გატირებს მეთქი, „მორს ქვეყანაში მივდივარ, ვეულა ნათესავები აქ მჩნებან“ — გამოაჯავრა მან წვრილი ხმით ქალს და განაგრძო, — ამ დროს სწორედ სადგურს მივუახლოვდით, მატარებელი ჩერდებოდა და შემეხვეწა, ბავშვს უური უკდეთ, არავინ დააჯდესო. ვიფიქრე ქალი წუაღს დაღვეს მეთქი. ცოტა ხანს ველოდე, მერმე ჩამეძინა და ეს არის ახლა გამეღვიძა... როგორ იჭაჭებან, თქვენი ჭირიმეთ! შემაწუსა, სწორე ვითხრობთ; დამახება უნდა იმ დედაკაცს, ერთი მომამოროს აქედან...

— ბიძიავ, ბიძიავ, უუურე როგორ სწოვს თითს... შიან, შიან, ნახე, ნახე, როგორ სჭამს!.. რა კარგია, რა ზაწაწკინა ცხვირი აქვს...



დიდწვერა დაიხარა და დასკდა ბავშს, რომელიც ხარბათ სწუწნიდა მათიკოს წვრილ თითს, მაგრამ როცა მისხედ, თითში არა იყო რა, ისევ მოჭევა ტირილს, მერმე ისევ დაიწყო წოვა. მაგრამ ბოლოს სრულიად გაანება თავი და მორთო უფრო მოუთმენელი ტირილი.

მეზავრს უფრო და უფრო ეტეობოდა მოუსვენრობა. გაჭარხლე ბული კაცი წამოჯდა თავის ქვეით.

— ბიძავ, აბა ახლა შენ ჩაუდგვი თითი, იქნება შენით დაჩუმიდეს და ამბობაში დედაც მოვა.

მეზავრმა ჩაუდო ფრთხილად ნეკი ბავშს ჰირში და დააწყვერა და იმის უმწყო, ჰაწია, წითელ სახეს. ჰაწიამ გააღო უწამწმო, ამღვრეული თვალები და მაგრად და მოუთმენლად მოუსკა თითს ბავშვი. დიდწვერა, ჭალარა მეზავრის გულში რაღაც შეთრთოლდა, შეიკუმმა და უცბად გაიძალა თბილად... ადელ-კვებული მიუბრუნდა ის მსხვილ კაცს:

— ბავშვი, მეონა კარგა ხანია ტირის, როგორც ეს ჰაწაწკინა გვიამბობს; მე კი არ გამიგონია, ვკითხულობდი. მამ ამის დედა აქ არ ეოფილა დიდი ხანია?

— აკი, მოვასწენეთ მეძინა მეთქი, — გაჯავრდა გაჭარხლე ბული, — დაღბლული ვიყავი და ესაა გამეღვიბა. უნდა გავიდე ამ ვაგონიდან. ამისთანა მეხობელთან ეოფნას გადაკარგვა სჯობს სწორედ...

ბავშვი ისევ ატირდა.

მათიკო უცებ დაფაცურდა და დაუწყო ბავშვს რაღაც ფათური და წევბა.

— ჩემ დედასთან წავიყვან, — სთქვა მან, — ჩემი დედილო მაშინვე დაჩუმიებს, იმან იცის... იმან უველბფერი იცის, ბიძავ, აი ნახავ... აი, აქ დამიკავე საბანი და ავსწევ ბავშს...

— არა, არა, მოიცა, შენ როგორ შეგიძლიან, ისევ მე, მე წამოვიყვან, — სთქვა დიდწვერამ და დაუწყო ბავშს ტრიალი,



მაგრამ აუკანა ვერას გზით ვერ მოახერხა. არ იცოდა და საიდან მოეკიდა ხელი ბავშვისათვის და ეძინოდა.

— მოიცადეთ, ბატონო, აი ასე დაიჭირეთ, — უთხრა მას დიდილით ახალგაზრდა ქალმა, აიუკანა ბავშვი და მიაწოდა დიდწვერს, ძაღლს, სათვალეებიან კაცს, რომელიც რაღაც უძველესად გამოიცქირებოდა, — ჰგავს ბავშვი ძალიან ძვირად გჭერიათ ხელში — დაუძატა ქალმა და ადგა, რადგანაც აქ მატარებელი სადგურს უახლოვდებოდა და უნდა ჩამომსტარიყო.

— არანოდეს არ მჭერია, — სთქვა მკსავრმა დამნაშავეის კილოთი. სხად მოხრილი ბიძია, რომელსაც როგორღაც საცოდავად გამოწვეულ ხელებზე დაეწვინა ატირებული ბავშვი, მემკრთალი მიდიოდა მათიკოს დედისაკენ. უკან იძის გრძელ შავ სერთუკის კალთისთვის მაგრად ჩაკვიდა ხელი მათიკოს.

— რა ამბავია! — შეჭკვირა შეშინებულმა მათიკოს დედამ იმათ დანახვაზე.

— დედილო, შიან, შიან... ისე სწოვს, ისე სწოვს... ჩემი თითიც... ბიძიან თითიც... აი გაჩვენო... დედა იქ არ არის...

დედა სწრაფად წამოჯდა, თითქოს თავი არანოდეს არა სტკივებიაო, სასქაროდ გამოართვა ბავშვი და დაიწვინა მუნლებზე.

— ღმერთო ჩემო, რა მოძივებულია... მომეცი, მათიკო, მანდ რმეა, კოვსი, ჩქარა!..

ქალმა სასქაროდ გადმოასხა რმე ჭიქამი და კოვსით დაუწყო ჭმევა. ბავშვი ჯერ ხარბად დაეწაფა რმეს, შემდეგ უფრო ნელ-ნელა და რამოდენიმე წუთის შემდეგ სრულიად დამძვიდდა. დედამ გაძლხა ბავშვის საბანი და საკებები, უფრო ლამაზად და მოხერხებულად შეასვია და დაიწვინა გვერდით. მათიკო ესმარებოდა, აწვდიდა საჭირო ნივთებს და ტიკტიკებდა. მკსავრი კი განცვიფრებული დანსქეროდა ბავშვს და თავის თვალებს არ უჯერებდა, რომ ასე ჩქარა ველებფერი დაწვენარდა.

— ასლა წავალ და ამის დედას მოვინახვ, — სთქვა მან და

გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდა აღელვებული. — ბრძანდ  
არ არის, ეტეობა ბავშვი დაუტოვებია და დამალულად

— ღმერთო ჩემო, რა ეპკელება ასეა ამ ზაწიას, — სთქვა დედაძე.

ვაგონში ეველამ გაიგო, რომ ვიღაცას ბავშვი დაუტოვებია და მოვიდნენ სანახავად. მოჯარებული ხალხი იდგა და ცნობის მოუვარეობით შესცქეროდა ზატარას, რომელსაც მშვიდად ეძინა.

— ოჰ, რა შეჩვენებული ეოფილა, — ცხარობდა ერთი მოხუცი დედაკაცი — ჩამოსხსნობია, ჩამოსმხნობია, ბავშვი გადუგდა!..

— სურც მაგრე იტყვი, ქალბატონო, ვინ იცის რა გაჭირება ადგა. იქ ვაჭარი ამბობს, ქალი ტიროდაო. — მიუგო დიდ წვერბ მკ საყრბ.

— საბრლო ბავშვი, დარჩა ობლად, უდედ-მამოდ. — სთქვა ვიღამაც.

— სადგურზე რომ მივალთ, ეანდარმს შევბტეობინებო, კონდუქტორი ამბობს. — სთქვა იმ კაცმა, რომელიც დამშვიდებით ფანჯარაში იყურებოდა.

— აჰ, იმათ თუ წაიუვანეს, ბავშვი მოკვდება, — სთქა მათიკოს დედაძე, — ამასე ჩემს დეჰში არ დავთანხმდები, ისეჰ მე წაიუვან...

— არა, დედილო, არა, ბაჰმს ბიძია წაიუვანს. იცი, დედილო, ასეა ბიძია სულ მარტობა, სულ მარტოდ-მარტო... არც არავის სღაჰარს უკითხავს... სღაჰარის წიგნებიც არა აქვს ბიძიას, თითონ მითხრა... არც არავის არბენებს ცხენივით... სადილსაც სულ მარტო სჭამს... საწვადლი ბიძია, სულ მოწვენილია...

შენ წარმოიდგინე, დილითაც კი არავინ მოირბენს მასთან და არ ეუბნება დილაამშვიდობისა მამილოო... სრულიადაც არავინ არ ჰკოცნის... აი ასეა კი ეს ზატარა თინა, — სომ გინდა თინა სახელად? — მიუბრუნდა ის ზაწაწკინა მძინარე ბავშვს



და ისევ მიმართა დედას, — ეს ჰაწია თინა იქნება ბიძიასთან და მერმე, ვინ იცის, როგორც ჩვენ მივდივართ ჩვენ მამიდასთან იქნება ბიძიასთან და თინასთანაც მოვიდეს დედილო, მაშინ სომ ბიძიაც მუდამ განსარებული იქნება, ჩვენ მამილოსავით... არა, არა ჰაწია თინა ბიძიას უნდა ვაჩუქოთ უსათუოდ... — წარმოსთქვა მათიკომ სხადასხუებით და სიცილით, — შენ არ იცი, დედილო, ბიძია ისეთი კარგია, ისეთი... რა ჯოხი აქვს... არ იცი?.. აი, ახლავე გაჩვენებ...

მათიკო საჩქაროდ გადმოხტა ტანტიდან და გაიქცა, მაგ რამ ისევ სწრაფად მოტრიალდა, ჩამოეკიდა ჭაღარა კაცს კისერზე და ალერსით შესძახა:

— აი, ახლა სომ გეპვს გოგონა, ახლა სომ სულ განსარებული იქნები. — აკოცა მას და ისევ გაიქცა.

— ღმერთო ჩემო, რა ცელქი რამ არის, სასელიც, რომ დაბრქვა! — სთქვა დედამ და სიუფარულით გაბდევნა თვალი თავის ჰაწია სუჭუჭა, ცქრილა გოგონას.

— მშვენიერი ბავშვია, მშვენიერი, კეთილი... გულით შემიუფარდა და შემაუფარა ეს ჰაწიაწიანაც, და თუ მართლა დედა არ გამოუხნდა — მკსავრი ცოტათი შეეოუძნდა — მე წავიკვან ბავშვს...

დედა მართლაც არ აღმოუხნდა ბავშვს. რამოდენიმე სადგურის შემდეგ მატარებელი გაჩურდა ერთ დიდ სადგურზე. აქ უნდა ჩამომხდარიყო ჩვენი დიდწვერა მკსავრი. მათიკოს დედამ ფრთხილად დაუსვა ბავშვი ხელზე, და ისიც ფრთხილად დაეშვა ვაკონის კიბეზე.

— მე თქვენ წერილს მოგწერ; ბიძიაც, როცა ვისწავლი, შენ თინას და ძაღლს! — განძახა მათიკომ და უეურებდა სანამ კარგი ბიძია ეტლში არ ჩაჯდა, ჰაწია მუსხლებზე არ დაისვა, მერმე მსიარულად მოისედა მატარებლისაკენ, დაუქნია თავი მათიკოს და დედას და გაჭქანდა დიდ ქუჩისაკენ.





## მაიმუნები, როგორც აღმზრდელები

**3**ირუტკეთს შორის ეველასეჲ ღმობიერ და გულ-მსურვა-  
ლე მშობლებათ უნდა ჩავთვალოთ მაიმუნები. განაოცრად უე-  
ვართ იმათ შვილები, როგორც საკუთარი, ისე მეგობრებისა.  
მაიმუნების ოჯახობაში შვილის შექმნით დიდ სინარულსა გრ-  
მობენ დედაც, მამაც და ეველა შესობლები. მაიმუნები იბა-  
დებიან თვალ ახილულები. აი განნდა ქვეყნად ჰატია „ჰავიან-  
ნი“ (ერთ გვარი მაიმუნია), დედა მოწიწებთა და ნებივრად  
იყვანს მას ხელში, ისე, როგორც აღმაიანები თავიანთ შვი-  
ლებს, ხელა და სიფრთხილით აქანავეს ხელით, თითქო არ-  
წვეს და ნანას ეუბნებაო თავის შვილს. მოვიდა მამაც, მალა-  
ლი და მძღაური „ჰავიანი“ და შესტრფიალებს ახლად დაბა-  
დებულს! იმან ჯერ თავის მეუღლეს აკოცა ორიუ ლოკებზედ.  
დედამ უშიძრად მიაწოდა მამას ახლად დაბადებული. კადუკოც-  
ნა მამამ ამასაც ორიუ ლოკები და დაუწყო ფერობა და ალერ-  
სი, თათების ფრთხილად დასმით. მერე დაჯდა დედას ჰირ-და-  
ჰირ და ცოლქმარი სიყვარულით შესცქერიან, თვალს არ ამო-  
რებენ შვილიკოს. მალე სხვა რამდენიმე მაიმუნებიც მივიდნენ  
მეობაში, მაგრამ კოცნისა და ხელის შესების ნება არ მისცა  
ამათ მშობელმა მაიმუნმა. სტუმრებს მსოლოდ შორიდგან შეე-


ლოთ დამტკბარევენ ასლად შობილ მაიმუნის <sup>ცქერით...</sup> შენიძნა მაიმუნმა შვილის გულზედ რაღაც ჭუსტი და <sup>ერსიანი</sup> დამტკბარე <sup>და</sup> ლოკვა. ეს იყო მაიმუნისთვის ბახაობის მაგიერი. დედა ჰირველ ხანებში ერთ წამსაც არ ანებებს თავს, თვალს არ ამორებს ხორბ შვილს, რომელიც მთელი ორი კვირა დედის გულზეა ჩამოკანწიალებული, მისუტული, მაგრად სელებ შემოსეული. დედა ამ ცოცხალი ტვირთით დასტის ტოტიღვან ტოტებსედ. ორი კვირის შემდეგ ჰატარა ჰავინს ნება ეძლევა დედის სურვსება და კისერსედ თავისუფლად ბობღვისა და სტუნაობისა. დედა მსრუნველობით ადგენებს თვალს შვილის სისუფთავეს და ხან-და-ხან ჰირსა ჰბანს, თუმიცა ჰატარას ეს მეტად ესამუშება და ამიტომ ისეთ მანჭვა-გრესას მოჰქეუება, რომ სიცილით მოკვდება მაეურებელი. ჰატარა მაიმუნი ძაღუ სწავლობს სეებსედ სიარულს; ის ოსტატურად ჰბამავს დედ-მამას თითოეულ მოძრაობას და ჩქარა ითვისებს იმათ გაკვეთილებს.

10-11 წლის შემდეგ მაიმუნი შედის ასაკში; მაიმუნებმა შვილობილები აუვანაც იციან. არასოდეს არ რჩება და არ იღუპება ჰატარა მაიმუნი: დედ-მამა თუ დაესოცება, უოველთვის გამოხნდება ისეთი ოჯახობა, რომელიც სიამოვნებით აიუვანს ობოლს და ზრდის, როგორც თავის საკუთარ შვილს. შვილობილი სიკვდილზედ აღმსრდელი მაიმუნი დიდ მწუნარებას იჩენს. მამალიც და დედალიც ჭამას თავს ანებებენ, ჯაფრით ჩამოსებიან და ხან და ხან სტირიან კიდევ...

მაგრამ რა უნდა იუვეს იმათი მდგომარეობა, როცა საკუთარ შვილს ჰკარგავენ... ზოგი მაიმუნები ვერ იტანენ ამ მწუნარებას და შვილის შემდეგ თვითონაც ისოცებიან.

თეოდ. კანდელაკი.





## ვასტანკ გორგასლანიდან ბაგრატ მესამემდე

• 6 უ

საქართველოს ზამთრიაწიდან მათი საუკუნეში

**3**ვასტანკის შემდეგ ბევრი შესანიშნავი ამავე მოხდა საქართველოში, მაგრამ ჩვენ მივუბრუნდებით ურბანებს მარტო ისეთებს, რომელთაც შეუძლია მისწავლობა აქვს ჩვენთვის, — მაგალითად:

ამ დრომდის მუყ და კათალიკოსი ცხოვრობდნენ მცხეთაში, ვასტანკის შემდეგ კი ტვილისი შეიქმნა მუყების სტანტო ქალაქად და მცხეთა — კათალიკოსის საცხოვრებელ ადგილად. ეს ასე იყო, მაგრამ, სამწუაროდ, კათალიკოსი იყო ბერძენთაგანი და, მამასადაც, უკვე მღვდელ — მოქმედებს ბერძენულ ენაზე ასრულებდა. რა თქმა უნდა, კათალიკოსის ასეთი საქციელი არ მოსწონდათ ქართველებს: რად გვინდა ისეთი კათალიკოსი, რომელსაც ჩვენ არც ჭირი ესმის და არც ღსინიო. ჩვენ გვინდა ისეთი კათალიკოსი, რომელიც ქართველთაგანი იყოს და უკვე მღვდელ — მოქმედებს ქართულად ასრულებდესო. სიტყვს და ახარებას კიდევ: შევეხებო საუკუნეში



ფარსმან მეფის დროს ქართველებმა გამოითხოვეს საბერძნეთის იმპერატორისგან, საქართველოს ეკლესიას კათალიკოსად ქართველთაგანი. იმპერატორმა ძალა-უნებურად ნება დართო ქართველების თხოვნას, მაგრამ თან ისიც დაურთო, რომ ქართველთაგან არჩეული კათალიკოსი უსათუოდ კურთხეულ იქნეს მეფეებურად ანტიოქიაში (ოსმალეთში) და არა—მცხეთაში. ქართველები დათანხმდნენ იმპერატორის ამგვარ განაჩენს, მაგრამ—დროებით. ამგვარად, ჰირველი ქართველთაგანი კათალიკოსი, რომელიც ეკურთხა ანტიოქიაში, იყო საბა. მუშვიდევ საუკუნეიდან-კი ქართველ კათალიკოსს ირჩევდნენ ქართველი ეპისკოპოსები და აკურთხევდნენ მცხეთაში.

რამდენად კარგად მიდიოდა საქართველოს საეკლესიო საქმეები, იმდენად, თუ მეტად არა, ცუდად იყო საერო საქმეები: გაძლიერებულმა სპარსეთის მეფემ მოიუიდა საქართველოს ერისთავები, დაუპტკიცა მათ საშვილიშვილოდ მათი საერისთავოები მხოლოდ იმ ჰირობით, რომ იმ დღიდან ერისთავებს სარკი ეძლიათ მისთვის და არა—ქართველ მეფეებისთვის. სერსმა გასჭრა: უღალატეს ერისთავებმა სამშობლოს და, მათდა სამარცხენოდ, სპარსეთს მიემხრნენ. ამიტომაც იყო, რომ მეფეები თავის ძალ-ღონით დანარჩენ ერისთავებს დაემსგავსნენ, ესე იგი დაკარგეს ერის თვალში ეოველი მეფური გავლენა.

ფარსმანისვე დროს, —მეექვსე საუკუნეში, —მოვიდნენ კაბბადოკიიდან (მცირე-აზიაში) ცამეტი წმიდა მამა იოანე ზედასწელის თაოსნობით და დაბინავდნენ საქართველოს ისეთ კუთხეებში, სადაც ქართველებს ჯერ კიდევ კარგად არ ქონდათ შეთვისებული ქრისტიანობა, და ზოგ ადგილებში მოსაქრისტიანებელიც ცოტა არ იყო.

—მესუსტდა მეექვსე საუკუნეშივე სპარსეთი და გაძლიერდა საბერძნეთი. ამ შემთხვევით ისარგებლეს ქართველებმა და საქართველოს ტახტზე აიყვანეს, ბერძნების დასმარებით, გაძ-

ლიერებულნი კლარჯული ბაგრატიონი გვარამი. ეს მოხდა  
 575 წელს. ამ წლიდან იწყება ბაგრატიონების მეფობა საქართველოში.

ძალე ისევ დაირღვა ქვეყნის მუდროება: მეშვიდე საუკუნეში გაჩნდნენ არაბები, რომელთაც დაიპყრეს მამინდელი ეკლესია ცნობილია ქვეყნები და საქართველოც სულში ჩაიკვდა. ეს არაკმაძრეს ქვეყანას: ჩვენი მეფეები თავისი მოხარკე გასადეს და ტფილისის ციხეშიაც თავისი ჯარები შეაყენეს. ეძირი (ძთავარ-მმართველი), რომელიც სარდლობდა არაბების ჯარს, თვალ-უურს ადევნებდა ქართველების მოქმედებას, რომ არაბების წინააღმდეგ ცუდი არაფერი ჩაედინათ.

უბედური დრო იყო ეს სანა ქართველებისთვის: არაბების სარდალმა მურვან-ურუმ დაიპყრა მთელი კავკასია და მცხეთა არმაზიანად მიწასთან გაასწორა. ესლაც კარგად ახსოვს ქართველობას ეს ძავი დღე და ამიტომაც შესტირის გულის სიღრმეიდან ძველს დიდებულს და დღეს გავერანებულს არმაზის ციხე-ქალაქს:

არმაზის ციხე-ქალაქო,  
 ძველადგან გაოსრებულო,  
 ხალხითა ერთხელ სავსეო,  
 ეკლასიგან დიდად ქებულო,  
 შენ ვინღა გნახოს ნამენი,  
 მტერთა მახვილით მოსრულო!

მურვანის შემდეგ გაქრა არმაზის სსენება ჩვენს ისტორიაში. მაგრამ ამასაც არ დაავურა მურვანმა ქვეყანა: გადავიდა დასავლეთ-საქართველოში, დაამარცხა ქართველები, შეიპყრა მათი სარდლები დავით და კონსტანტინე და აწამა.

მურვანის შემდეგ არაბებმა კიდევ უფრო უარესი დღე დააყენეს საქართველოს: ცეცხლით და მახვილით გაიარეს ქვეყანა და აწამეს მეფე არჩილი.

არც ბერძნებს დადგომია კარგი დღე არაბებისგან. ეს იყო  
 მისეზი, რომ საბერძნეთის შესუსტებით ისარგებლა აგნოსტოსმა  
 ერისთავმა ლეონმა, განუდგა საბერძნეთს დაიპყრა დასავლეთ-  
 საქართველო სურამის მთამდე და თავისი თავი შეეფუდ აღი-  
 არა. სატახტო ქალაქად გამოაცხადა ქ. ქუთაისი 806 წელში.

არ. ქ - ძე.

(დასახრული იქნება)

მ. ქუთაისი





## ჭერკულესის ამბავი

(გერმანულიდან)

**რ**ვა ძველი საქმე შეასრულა ჭერკულესმა ვერისთოის ბრძანებით და ოთხი კიდეც დარჩა ასასრულებელი.

იყო ერთი ხალხი, რომელიც ძარტო ქალებისაგან შესდგებოდა. ამ ქალებს ამორძლები ერქვა. სულ ცხენსეგდ ისხდნენ და ისე ძამაცად იბრძოდნენ როგორც ნამდვილი გმირები. მთი დედოფალი იყო ჰიპოლიტა. ჰიპოლიტს მშვენიერი ოქროს ქაძარი ჭქონდა ძვირფასი თვლებით შემკული. ამ ქაძრის ამბავი გაუგონა ვერისთოისს და უბრძანა ჭერკულესს — უთუოდ უნდა მიძოვნო, რომ ზემ ქალს ადმეტას ვახუქო. ჭერკულესმაც გამოაცხადა მთელ საბერძნეთში — ამორძლებს უნდა ვეომო და ვისაც გული გერნით, წამომეყვითო. შეიგრიბნენ მეომრები, ჩასხდნენ ნაჰში და გასწიეს ამორძლების ქვეყნისაკენ. მისვლისათანავე ჭერკულესმა შეატეობინა დედოფალს, რისთვისაც იყო მისული. ჰიპოლიტამ იცოდა, რომ ჭერკულესი, თანახმად აზოლონის ბრძანებისა იძულებული იყო ვერისთოისის სურვილი აესრულებინა, და ამიტომ უომრად უნდოდა ქაძრის დათმობა, მაგრამ ამორძლებმა არა ჭქნეს და შეებნენ ჭერკულესსა და მის ამხანაგებს. ამორძლები ცხენებსეგდ ისხდნენ და ისე იბრძოდნენ, ჭერკულესი და მისი ამხანაგები ქვეითად. ჭერკულესი რომ



არ ეოფილიყო, ბერძენ მეომრების საქმე ცუდად კათავდებოდა. ქალები უთუოდ გაიმარჯვებდნენ. მაგრამ ჭერკულესმა მძინარე მამაცი ამორძლები და დედოფალი ჰინოლიტა ტყვედ დაიჭირა; ცუდი კი არაფერი შეამთხვია—მაშინვე გაუშვა, როგორც კი ის მვირუხასი ქაშარი მიიღო, ვერისთუოსისათვის რომ უნდა მიეტანა.

ჭერკულესი და მისი ამხანაგები ჩასხდნენ ნავში და საბერძნეთისაკენ წამოვიდნენ. ქალაქ ტროას რომ მიუახლოვდნენ, ნავი გაახერეს, ჭერკულესი ნაპირზე გადმოვიდა და ქალაქში წაყიდა. ამ დროს ტროას მეფედ ლაომედონი იყო, კაცი მდიდარი და ძლიერი. მაგრამ ლაომედონმა მტრად გადაიკიდა ორი დემერთი—აპოლონი და ჰესპიდონი და ამათ დიდ განჭირვებაში ჩააგდეს მეფეცა და მისი საძეფოც. მიზეზი მტრობისა აი რა იყო. ტროა დიდი ქალაქი იყო, მაგრამ გაღაჟანი არ ჰქონდა და მტერს ადვილად შეეძლო მისი აღება. მეფესთან მოვიდნენ აპოლონი და ჰესპიდონი და უთხრეს: ისეთ კედელ შემოვაგლებთ ქალაქს, ვერავინ აიღოს, მაგრამ კარგი ფასი უნდა მოგვეცო. ლაომედონმა დემერტები ვერ იცნო, უბრალო ოსტატები ეგონა და მოურიგდა. დემერტები შეუდგნენ მუშაობას და მოკლე ხანში გარდაუვალი კედელი შემოავლეს ქალაქს. ლაომედონს დაპირებული ჯილდო უნდა მიეცა, მაგრამ რაკი ცუდი კაცი იყო, არაფერიც არ მისცა და ისე გაისტუმრა. დემერტებს კი ლაომედონის გამოცდა უნდოდათ—აასრულებდა ზირობას თუ არა. რაკი დარწმუნდნენ, რომ ტროას მეფე უპირო და მატყუარა კაცი იყო, სასჯელად საძინელი ვეძახი გაუგზავნეს: ეოველ დღე ამოდიოდა ტბიდან და ვინც კი შესვდებოდა, უთუოდ ჩაელაპავდა. ქალაქიდან ვერავინ ბედავდა გამოსვლას, ენები დაუშუშავებული დარჩა და სიმძილი ჩამოვარდა. გაბრაზებულ ტროანელებს მეფის მოკვლა უნდოდათ, რადგან ის იყო მიზეზი ამ უბედურებისა. ლაომედონმა მისანთან გაკ-



ზაენა კაცი საკითხავად — რა საშუალებით შეიძლება ეს საქმის დასრულება ვეძახი თავიდან მოვიძოროთო. მისანმა შემოუთვალა — მისი უსაქმური ღი ჭეხიონა კლდეს მიაკარ, ვეძახი მოვა, შესწამს და მერე აღარ გამოჩნდებაო.

მეტი რა გზა იყო, რომ მისინს ბრძანებას არ დამორჩილებოდა, და სწორედ იმ დღეს გამოიყვანეს საბრალლო ჭეხიონა კლდეზე მისაკრავად, როცა ჭერკულესი მივიდა. ჭერკულესმა უთხრა ლაომედონს — ნუ გეძინიან, იმ ვეძახს მე მოგუდებ ბოლოს და შენ ქალს დავისხნი, მაგრამ სამაგიეროდ ის ცხენები უნდა დამითმო, მამა ღმერთმა ძევსმა რომ გახუქაო. ამისთანა ცხენები მთელი დედამიწის სურგზე აღარსად იუვნენ.

ლაომედონი დასთანხმდა. ჭერკულესმა ვეველას ურჩია ქალაქში შესულიყვნენ; თვითონკი დარჩა ჭეხიონასთან და როცა ვეძახი წამოვიდა ქალის ჩასაულაპავად, გზაზე გადაედობა და მაშინვე მოჭკლა; ჭეხიონა მამას მიუყვანა და ზირობის ასრულება მოსთხოვა. უმადურმა ლაომედონმა უარი უთხრა და არაფერი მისცა. ძალიან გაბრაზდა ჭერკულესი, მაგრამ ომს მანც მოერიდა, რადგან ჯერ კიდევ ჭქონდა ახასრულებელი საქმეები; ჩაჯდა ნაფში და ტირინისისაკენ გაემართა. წასვლის წინ ლაომედონს შეუთვალა — მოვიცლი და სამაგიეროს გადაგიხდითო. ტირინისში რომ მივიდა, ჰიპოლიტის ქაძარი ჩაბარა ვერისთოესს.

სხვა შემდეგისთვის იყოს.






## სახალისო სამუშაო და გასართობი

### ს ი ვ რ ე ი

დადგით ძაღლი ადგილზე წებლ-ღვინით სავსე ჭიქა, ცოტა ქვემოთ ცარიელი ჭიქა დადგით, შემდეგ აიღეთ ძაღლის სორსანი, დაასველეთ წებლში, ერთი ბოლო წებლ-ღვინიან ჭიქაში ჩაუ-



შვით, მორე—ცარიელში; ცოტა ხნის შემდეგ (მაგალ. 1 ან 2 საათ.) თქვენ დაინახავთ, რომ წებლ-ღვინო ხელ-ხელა ცარიელ ჭიქაში გადაივად.




გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი :

კუტი ძაძა,  
ძარგალიტი ღუღა,  
კიჟი შვილი.

სის შვილდი და წელის ისარი  
ჯირკვს ვესროლე ქვა გაფრინდა.

რ ე ზ უ ს ი



## ჰატარა „ნაკადულის“ რედაქციას

მე გამოვიცანი რებუსები მეცხრე და მეთერთმეტე წიგნებში.  
მეცხრეში ესეა:

ერთი რამე სულიერი  
მიწა მიწა მპროძელია,  
ორჯელ გეტყვი მის სასელსა  
აბა მითხარ რომელია.

მეთერთმეტეში ესეა: „უკუღო ხარი თავისთვის არ იყო  
სსვას ბუსებს უკერებდაო.

რვა წლის დათიკო რცხილაძე.

30 აპრილს. ქ. განჯა.



გამომცემელი კნ. ნ. ე. ქობულაშვილისა.

რედაქტორები { კნ. ე. ერისთავისა.  
ნ. ზურაბიშვილისა.



წელიწადი  
.მოდო  
1905

# სანატორიუმი

და

## საზაფხულო სახეობი

საზაფხულო  
შობის სადგური  
4400 ფუტის  
სიმაღლეზედ.

ექიმის ვახტანგ დ. ლამბაძისა

მოზარდ ქალ-ვაჟთათვის 8—16 წლამდე

„პატარა-ცემი“ ბაკურიანის რკინის გზაზედ

„**პატარა-ცემი**“ მდებარეობს ბორჯომის ხეობაში, თრიალეთის ქედის ერთ-ერთ კალთაზედ, ბაკურიანის რკინის გზაზედ, სადგურ ნიკოლაევოსა და საკოქავს შუა, მაღლობ ვაკეზედ, 4400 ფუტის, ანუ 1340 მეტრის სიმაღლეზედ. (230 ფუტით მაღალია აბასთუმანზე).

**ამ ადგილის მდებარეობა**, როგორც მთელი ხეობისა, მეტად მოხდენილია და ლამაზი. „პატარა-ცემი“ წარმოადგენს მთებით შემოზღულულ გაშლილ ვაკეს, ფიქვენართა და ნაძვენართ გარშემორტყმულს; მთელ დღეს მზით განათებულია და ცივი ქარისაგანაც დაფარული, ნიადაგი მშრალი და ნოტიერებას მოკლებული აქვს, ჰავა მუდამ გრილია და სითბო-სიციფვეც მეტად ზომიერი; ჰაერი სუფთა, მზატე და საამო, ადგილი მყუდრო და ყოველ ხმაურობას მოკლებული. შუაზედ მიუდის ბაკურიანის რკინის გზა.

**აქ არის აშენებული** სანატორიუმისათვის დიდი შენობა, სავეჯო და საქალეზო განყოფილებით, სამზრეთისაკენ მიქცეული, მთელ დღეს მზით განათებული, რომელშიაც დღე და ღამე ჰაერი მოძრაობს და იცვლება. სანატორიუმს აქვს საკუთარი სამეცნიერო ლაბორატორია და მეტეოროლოგიური სადგური.

სანატორიუმს და საზაფხულო სამყოფს **მიზნად აქვს**, გაუადვილოს მოზარდის აგებულებას დასვენება და ჯანმრთელობის მოპოვება, რომ ბუნებრივის საშუალებით და ჰიგიენურ პირობებში ცხოვრებით გამოსწორდეს ის ნაკლი, რაც სხეულში ან ავადმყოფობით არის გამოწვეული, ან ცხოვრების შეუფერებელ პირობებით; და ამნაირად ხელი შეუწყოს სხეულის განახლებასა და წესიერ მუშაობას, ფიზიკურ კეთილდღეობის მისაღწევად.



**მიიღებინ:** ვინც არის ნაავადმყოფარი, სხვა და სხვა სნეულენობა საგან დალილ-დასუსტებული, მეტადრე ვისაც გამოვლილი მეტადრე განსაზღვრეთ: ინფლუენცა, ბრონხიტი, ფილტვის სხვა და სხვა ავადმყოფობა; ვინც მადა-დაკარგულია, სისხლ-ნაკლები, ნერვებ აშლილი, ქაობის ციებით ანუ ტყირპის გადიდებით დასუსტებული; ვისაც სხეული დასძაბუნებია ჰაერის, სინათლისა და საზრდოს ნაკლებულობით, ან ცხოვრების შეუფერებელ პირობებით; სტომაქისა და ნაწლავების აშლილობით დასნეულებული, გონებით მოქანცული და საერთოდ ყველანი, ვისაც-კი სამკურნალო მეცნიერების რჩევით ესაჭიროება ჰაერის გამოცვლა, დასვენება, სხეულის გამაგრება და ქალაქის მორიდება ცხელ ზაფხულის თვეებში.

**არ მიიღებინ:** მწოლიარე ავადმყოფნი, რომელიმე გადაძდებ სენით შებყრობილნი, ფილტვის სიკლექით დაავადმყოფებულნი, სულით ავადმყოფნი და არც ისინი, ვისაც რომელიმე მიზეზისა გამო მაღალ მთა-აღდგოს ყოფნა სარგებლობას ვერ მოუტანს.

#### სამკურნალო საშუალებათ არის დასახული შემდეგი:

1) მთის წმინდა ჰაერი, მზატე, გრილი, ფიქვის სუნით შეზავებული და ყოველგვარ უსუფთაობას მოშორებული; დღე სულ გარედ ყოფნა, ღამე კი ღია ფანჯრებიან სახლში წოლა.

2) გონებისა და სხეულის დასვენება, სრული მყუდროება, შუაგულ ტყეში ყოფნა, უსიამოვნო ხმაურობის მოშორებით.

3) გადაჭარბებული საზრდოობა დღეში ექვსჯელ: საუზმე დილის 7 ს., მეორე 10 ს., სადილი 1 ს., სამხარი 4 ს., ვახშამი 7 ს., და მეექვსე იჯრაც 9 საათზედ.

4) წყლით ექიმობა: ტანის დაზელა, დუში და აბანო, ჰაერის აბანო (Luft-bad, Bain d'air).

5) სხვა და სხვა გვარი შექცევა-თამაშობა ევროპიდგან გამოწერილ მოძრავ სათამაშოების საშუალებით, უცხოეთის სავარჯიშო საზოგადოებათა გეგმის მიხედვით.

6) სამკურნალო ვარჯიშობა სტოკჰოლმის სავარჯიშო მთავარ ინსტიტუტში ლანგის მიერ შემოღებულ გეგმისამებრ.

7) სახალისო და გასართობი სამუშაო და სხვა და სხვა ხელ-საქმე, საადვილო და სხეულისათვის მარგებელი, თვითიულის აგებულებასთან შერჩეული. მსურველთათვის ფოტოგრაფიული ოთახი.

8) ჯგუფებად სეირნობა და მოგზაურობა ყოველ ორ-სამ დღეს ახლო შიდამოებში.

9) ყოველ დღეს ახლად მოტანილი მადნეული წყლები: ბორჯომის მგავე და წალვერის რკინის წყალი, ექიმის დანიშნულებისამებრ.

10) სხვა წამლებით ექიმობა მხოლოდ აუცილებელ საჭიროების დროს.

ყოველი ზემოხსენებული საშუალება შემოდებულია მეცნიერებისაგან დამტკიცებულ წესისამებრ, სწარმოებს ექიმის მუდმივ მეთვალყურეობით და კერძოდ თვითველის აგებულებასთან შეფარდებით.

**კვირაში ერთხელ** თვითველი სანატორიუმში მყოფი დაწვრილებით ისინჯება ექიმისაგან, თანაც სამეცნიერო იარაღებით აღინიშნება ის თანდათან კლილება, რაც დაეტყობა თვითველ აგებულებას, მეტადრე: წონას, ღონეს, მკერდის სისრულეს, სულის-თქმას, გულისა და მაჯის ცემას და სხ.

ყოველივე ზემოხსენებული, როგორც ხანგრძლივმა გამოცდილებამ დამტკიცა უცხოეთის ყველა კუთხეებში და მეცნიერებამაც გამოარკვია, სხვაგვარ წამლობაზედ უფრო წარმატებით ჰკურნაეს ზემოდ აღნიშნულ სნეულებათ ასე რომ ეხლა ყველასაგან სასარგებლოდ არის დასახული სანატორიუმების ბუნებრივი მკურნალობა, რასაც შედეგად მოჰყვება ზოლმე შემდეგი ცვლილება: ყოველ მოზარდს ემატება წონა, ძალა და ღონე, უგანაგრდება მკერდი, უმაგრდება კუთები, სხეულის საზრდოობა უმჯობესდება. მოდუნებულ აგებულებას სიმარჯვე ემატება და გონებას სუფიხსლე, ხასიათი მშვიდდება და სწორდება, ტოლ-ამხანაგებში ყოფნით ერთობა და ზნეობრივად იწვრთნება, და რასაკვირველია ყოველივე ეს დიდათ ხელს უწყობს და აწინაურებს სხეულითაც, გონებითაც და ზნეობრივადაც მოზარდის აგებულებას.

**წახვლისას** თვითველს შესაფერისი დარიგება ეძლევა, როგორც უნდა მოუაროს თავის-თავს მომავალში.

ყველანი იყოფებიან ჯგუფებად ღონის, სქესისა და წლოვანობის მიხედვით. თვითველ ჯგუფს ჰყავს საკუთარი თვალყურის მგდებელი და ყველას-კი საერთოდ—მუდმივი ხელმძღვანელი ექიმი.

სანატორიუმში და სახაფხულო სამყოფში დადგენილი წეს-რიგი ყველასათვის სავალდებულოა. ვინც არ ღეთანხმება მას, უნდა მიიტოვოს ეს დაწესებულება ერთი კვირის განმამავლობაში.

ეს წეს-რიგი, რომელსაც მიზნათ აქვს სხეულის კეთილ-დღეობა, ადვილი შესათვისებელია და მომავლისათვისაც სასარგებლო: ახელი პატარაობითვე ეჩვევა სიცივის ატანას, რიგიანად სმა-ჭამას, სასარგებლო მოძრაობას, წესიერ მუშაობას და საერთოდ ჰიგიენურ ცხოვრებას.

სამკურნალოდ დანიშნულია ზაფხულის თვეები: 15 ივნისიდან 31 მარტამომბისთვემდე. მიიღებიან მსურველნი ორი თვითა და ნახევრით და ორი თვითაც.

**მისაღებ პირთა რიცხვი განსაზღვრულია.**

ფასი პატარათათვის თვიურად ხუთი თუმანია, ხოლო მოზრდილთათვის ექვსი თუმანი, ამაშია ნაგულისხმევი: სადგომი, ლოკინი, საზრ-

დო, განათება, წყლით ექიმობა, სარეცხის დარეცხა, წყლები, წამლები და საერთოდ ყოველ-მხრივი მოვლა და ექიმობა.

**ვისაც მსურს** სამკურნალოდ მოსვლა, წინდაწინვე უნდა გამოიგზავნოს ავადმყოფის სრული აღწერილობა და ადგილობრივი ექიმის წერილიც. საბოლოო გარდაწყვეტა მიღების შესახებ მხოლოდ ავადმყოფის პირადად ნახვის შემდეგ არის შესაძლებელი.

თვითმკურნალობის უნდა მოწყვეტოს თან: ორგვარი ტანისამოსი: საზაფხულო და ერთი თბილი, თეთრეული 4—6-მდე, ოროლი ფეხსაცმელი, მათში ერთი უქუსლო, ქილის ქუდი მზეში სახმარად და, თუ შესაძლოა მაგარი ტილოს ზევიდგან ჩასაცმელი ტანისამოსი სათამაშოდ.

ყოველ კვირას მშობლებს გაეგზავნებათ წერილი სანატორიუმის ექიმისაგან და ეუწყებათ მათი შვილის მდგომარეობის ამბავი.

**დაწვრილებით ცნობების** შესატყობად მსურველთ უნდა მიმართონ ექიმს ვახტანგ დავითის ძეს ღამბაშიძეს მაისის 31 დე ქალაქ თფილისს, შემდეგ-კი, ბორჯომით პატარა-ცემის სანატორიუმში.

**მისავლელი გზა:** ბორჯომიდან ორი საათის სავალზე. ბაკურიანის რკინის გზით, მე-25 ვერსზე სადგურ ნიკოლაევის შემდეგ საკუთარი ბაქანია „პატარა-ცემში“, სადაც ყოველი სახალხო მატარებელი ჩერდება საკუთრად სანატორიუმისათვის.

**მატარებლების მიმოსვლა:** ბორჯომიდან გადის დილის 9 ს. 7 წ. „პატარა-ცემის“ სანატორიუმში მიდის 11 ს. 13 წ., პატარა-ცემიდან გამოდის ნაშუადღევს 1 ს. 19 წ. და ბორჯომს მოდის 3 ს. 29 წ. საჭიროების დაგვარად დადის მეორე მატარებელი: ბორჯომიდან გადის ნაშუადღევს 5 ს. 28 წ. „პატარა-ცემის“ სანატორიუმში მოდის საღამოს 7 ს. 32.; პატარა ცემიდან გამოდის საღამოს 9 ს. 45 წ. ბორჯომს მოდის ღამის 11 ს. 33 წ....

**ადრესი:** ფოსტით: ბორჯომით—„პატარა-ცემს“ ექიმს ვ. ღამბაშიძეს. ტელეგრაფით: ბორჯომი ღამბაშიძეს.





ქართული  
ენობის ინსტიტუტი



პატარა გურული